გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 167

2022 წლის 9 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,

ფ/პ ქეთევან ქველიძისთვის (პ/ნ 59001112395), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 27 ივლისს N19/202220890-20 შემოსულია ფ/პ ქეთევან ქველიძის (პ/ნ 59001112395) განცხადება, რომელშიც ქორეოგრაფიული დანიშნულების (ცეკვის სტუდია) მიზნით, იჯარის ფორმით მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ს/კ 66.46.24.513.016 (ნაკვეთის წინა ნომერი: 66.46.22.000.991 (ს/კ 66.46.22.991)) უძრავი ქონება.
აუდიტური კომპანია შპს „კომპაუდის“ 2022 წლის 18 აგვისტოს №329-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ 66.46.24.513.016 (დაზუსტებული ფართობით - 653.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საერთო ფართი-116.94 კვ.მ) უძრავი ქონების (მისამართი: მუნიციპალიტეტი გორი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 513, ნაკვეთი 016) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 78,200.00 (სამოცდათვრამეტი ათასორასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ 66.46.24.513.016 უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669

დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ს/კ 66.46.24.513.016, უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს ფ/პ ქეთევან ქველიძეს (პ/ნ 59001112395).

2. კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ 66.46.24.513.016 (დაზუსტებული ფართობით - 653.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საერთო ფართი-116.94 კვ.მ) უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 78,200.00 (სამოცდათვრამეტი ათასორასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 3960 (სამიათას ცხრაას სამოცი) ლარით.

4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 2 (ორი) წლის ვადით.

5.მოიჯარეს ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონება გადაეცემა ცეკვის სტუდიის მოწყობის მიზნით.

6. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

7. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე